



პატივსაცემი
დინამო

დინამო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

28 ნოემბერი ოთხშაბათი 2012 №282 (13 888) ფასი 80 თეთრი

ყურადღების ცენტრში გორი და მცხეთა

დინამო ვიტ ჯორჯიას სტუმრობს,
დილა ზესტაფონს მასპინძლობს



ფოტო: fcdinamo.ge

დორგმუნდს ფორგუნამ უგუსთლა

თუ დღეს ბაიერნმა ფრაიბურგში
მოიგო, 11 ქულით დანინაურდება

BVL 95
გორსია (დ) -
ფორგუნა

1:1

1:0 კუბა (43)
1:1 რაზინგერი (78)



დორტმუნდელეები იაკუბ
(კუბა) ბლაშჩიკოვსკის
გოლით იგებდნენ

პაპოლმა ევროპიდან რამოზვსსს!

ეკონომიკური
სადასრულებელი
სამსახურის
სამსახურის
სამსახურის



არმია -
პოლონი
72:79

კალატბურთი. ევროკალენატი

დავით ოდიკაძე
მჯერა, რიხურა
ვინიფუხ სამეულში
მოსახვედრად
იბრძოლებს!



დიდ რამპიონს იუბილა მიულოცავს




რომან რურუას (მარცხნივ) იუბილე პრემიერმინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა მიულოცვა

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო



ქართული ფეხბურთი



ფრანგული სტილი

მასხაბი ნიჭიერი ხალხია

გაოგრაფიის გასართობი როლარბი ანდრესტვის

ვლადიმერ (სიმბა) ბარძანა 75 წლის გახლავთ, ლეგენდარული "დინამოს" თავდამსხმელი, 1964 წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონი...

დავით თაყაიშვილი

"დინამოში" 1957 წელს რომ მივედი, მაშინ გუნდები დუბლე სისტემით თამაშობდნენ...

ვენა ფლანგიდან შუისკენ შემოწევა, მაგრამ ცენტრალური თავდამსხმელად მყის ისე ითამაშა...



ასე თამაშობდა ვლადიმერ ბარძანა

მისი აზრი მალევე დასტურდებოდა. ნიჭიერი კაცი იყო და კარგი მეგობარი. უმცროსი მიშა მესხი მამამისზე დიდი ფეხბურთელი იქნებოდა...

დავით თაყაიშვილი 1957 წელს რომ მივედი, მაშინ გუნდები დუბლე სისტემით თამაშობდნენ...

ვენა ფლანგიდან შუისკენ შემოწევა, მაგრამ ცენტრალური თავდამსხმელად მყის ისე ითამაშა...

გვიჩოხელი იყო, მე მისი თანაშემწე ვაზლდით, როცა მესხს "დინამოდან" წასვლამ მოუწია...

პირველი ლიგა, XV ტური

Table with match results for the first league, XV round. Columns include team names, scores, and player statistics.



მარბივი ახსნა: პოლონია მოხსნა, ევროპიდან ჩაბვსნა

27 ნოემბერი, თბილისი, სპორტის სასახლე არმია-პოლონი 72:79

28:17, 18:21, 11:21, 15:20

5000 მყარყრავილი
მსაჯები: ი. დოლინაი (ჩეხეთი), ი. ჩალიკი (კოლონია), ტ. პორდოვი (სლოვაკეთი)



გიორგი ჯგერენია

სათაურიდან ყველაფერი გასაგებია: „არმია“ თბილისში ისრაელის „ჰაპოლ პოლონი“-ს 72:79 დაეჯიშა და ევროპულ ლენჯის მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსი საბოლოოდ დაკარგა.

ყოველი ნაგების შემდეგ ჩნდება კითხვა - რატომ? ამ შემთხვევაში პასუხის მოძებნა ადვილად შეიძლება. მოვიმარჯვით მატჩის ოქმი და გადავავლოთ თვალი გუნდურ სტატისტიკას. ყველაზე თვალსაჩინო მოხსენის გრაფიკაში დაფიქსირებული სხვაობაა: „ჰაპოლ პოლონი“ კალთბურთელები ფარდობაში ასსლეტილ ბურთს 52-ჯერ დაეუფლნენ, ხოლო არმიელები - 29-ჯერ. მეტსაც გეტყვით, სტუმრებმა ქართველთა ფარზე ბურთი 21-ჯერ მოხსნეს, თბილისელებმა კი საკუთარი ფარიდან ოდენ ოთხით მეტი - 25.

მატჩის ოქმი ერთგვარი ფოტოობიექტივაა - მოუდუნე მიმდინარე მოვლენებს ფოტოგრაფიული სიზუსტით ასახავს. პოდა, ოქმიც დასტურებს, რომ „პოლონი“ კალთბურთელებისთვის სულ ერთი იყო, ბურთს რომელი კალათი იხსლეთდა - ორი-სამი მოთამაშე შემართებით მიიწვედა ბურთსკენ და მასპინძლებს არაფერს უთმობდა. ისიც უნდა გითხრათ, რომ პოლონიელების ყველაზე ტანმალი კალთბურთელი 206 სმ სიმაღლის ფრენკ ჰასელია. მაშინ, როცა „არმიას“ 206 და მეტი სიმაღლისა ხუთი მოთამაშეა.

ლოგიკურია - რაც მაღალია სპორტსმენი მით მეტი შანსი აქვს ფარქვეშ კონტროლის დანებებას. მაშ, რატომ გვაჯობებს პოლონიელებმა? ტრავმის გამო მატჩში მონაწილეობა ვერ მიიღო დავით უგრეხელიძემ (208 სმ), ვლადიმერ ბოისამ (206 სმ) მეზუთე წუთზე მუხლის ტრავმა მიიღო და შეხვედრის გაგრძელება ვერ შეძლო. როგორც მწერთელმა, კოტე ტულუშმა თქვა, ექიმების დაკვირვებით ტრავმა სერიოზულია. დანარჩენს გამოკვლევა უპასუხებს. ბოისას ნაცვლად მოედანზე შევიდნენ იოაკიმ შელბიმი შევიდა (213 სმ), მაგრამ ვერც ამჯერად გააძარტლა და მწერთელმა მეოთხე პერიოდში ფარი ახალგაზრდებს გიორგი შარაბიძესა (210 სმ) და გიორგი ჯგერენიას (206 სმ) მიანდო. მათ ცდა არ დაუკლიათ, მაგრამ მეტოქეებთან შედარებით გამოუცდელეები არიან... შეიძლება ლემეინ უილსონის უფრო სამწიანი ზონისკენ შენევა, ან ორმაგი ცენტრის დაყენება, მაგრამ ასეთ სიტუაციაში, სავარაუდოდ, პერიმეტრზე შესუსტდებოდა ყურადღება, რაც სტუმრებისთვის დამატებით შანსს გააჩენდა. მათ ხომ მსამქულიანი ჩააგდეს.

„დამატებითი შანსი“ ვახსენეთ და აქ ერთს დაეძინეთ: თითო მოხსნა ერთით

მეტი იერიშის განხორციელების შანსს იძლევა. „პოლონი“ კი ბურთი ჩვენზე 23-ით მეტჯერ მოხსნა. ამ ლოგიკით სხვაობა კიდევაც ნაკლები იყო. შეიძლება იფიქროთ, რომ მოხსნებზე მსჯელობა ძალიან გავგივრძელდა, მაგრამ რომ არა ამ კომპონენტში სტუმართა დომინირება, თამაშსაც მოვიგებდით და სხვა განწყობითაც ვილაპარაკებდით.

ზემოთ რაც დაენერეთ, მეორე ტაიმის სურათი იყო. პირველი ნახევარი სპორტის სასახლეში შეკრებილი ქართველი გულშემამტკიცებლისთვის ცაილებით სასიამოვნო სანახავი იყო. ამ გუნდების პოლონიურ მატჩში „ჰაპოლმა“ სწრაფი გარღვევებით მოგვიღო ბო-



ლემეინ უილსონი

ლო. ქართველებმა ამ კომპონენტზე ბევრი იმუშავეს, მეტოქის გამამაშებელს არმიელი უკანაზველი მოედნის მისავე ნახევრიდან ავიწროებდა. ქართველები ერთმანეთს კარგად აზღვედნენ და მათი კალათისკენ თავისუფალი დერეფანი იშვიათად ჩნდებოდა. სწორედ ამის შედეგი იყო, რომ „ჰაპოლმა“ სანყის 7 წუთში თამაშიდან ბურთი ვერ ჩააგდო, ხოლო 40 წუთის განმავლობაში სწრაფი გარღვევით მხოლოდ 2 ქულა მოინაგრა. პირველ ნახევარში სტუმრები ჯერომ დაისონის იმედად იყვნენ, რომელმაც დიდ შესვენებამდე 16 ქულა მიითვალა, ხოლო მატჩი 31-ით დაასრულა. ამერიკელმა საოცარი სიზუსტით ისროლა სამქულიანები: 12-დან 7 გამოიყენა (58.3%).



კურტის მილიეჯმა მასპინძელთაგან ყველაზე მეტი, 23 ქულა ჩააგდო



ლაშა გამყრელიძე

ნამატჩევს ჟურნალისტების წინაშე წარდგა მასპინძელთა მწვრთნელი კოტე ტულუში:

- მეტოქემ ფარზე გვაჯობა. ცუდად ითამაშა იოაკიმ შელბიმი, ვლადიმერ ბოისამ კი მუხლის ტრავმა მიიღო. ვეცადეთ და მაქსიმუმი გავაკეთეთ, მაგრამ ეს გამარჯვებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა. თავს ზემოთ ძალი არ არის.

ლაშა გამყრელიძე:
- „ჰაპოლთან“ სათამაშოდ მონდომებით ვემზადებოდით, კარგად დავინწყეთ, ძალი არ დავიშურეთ, მაგრამ სამწუხაროდ მიზანს ვერ მივაღწიეთ. მადლობა ჩვენს გულშემამტკიცარს, რომელიც ერთგულად გვემხმარებოდა.

დენ შამირი („ჰაპოლ პოლონი“ თავკაცი):
- ორი დღის წინ ისრაელში თელ-ავივის „მაქაბის“ ვეთამაშეთ. რთული შეხვედრის შემდეგ გადაწყობა ცოტა გადვიფიქრდა, მაგრამ მეორე ტაიმში ეს შევძელით და დამსახურებულად გავიმარჯვეთ.

ჯერომ დაისონი:
- „არმია“ კარგი გუნდი რომ არის, პირველი მატჩის შემდეგ დავრწმუნდით, მაგრამ თბილისში ვაცილებით უკეთესად ვაისარჯა. განსაკუთრებით პირველ ტაიმში გავიჭირდა, მაგრამ დაცვაში თამაშის დალაგება შევძელით და ამ მოგებით ევროპულენჯის მეორე ეტაპს მივუახლოვეთ.

გუნდი	თ	მ	წ	სხ	ქ
1. ჰაპოლი	4	3	1	329/290	7
2. პოლონი	3	3	0	241/221	6
3. ანტვიპრადი	3	1	2	216/240	4
4. არმია	4	0	4	283/318	4

28 ნოემბერი
22:30 პოლონი-ანტვიპრადი
ვაჟა სიმონიშვილი
თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტოები

კალთბურთი
www.facebook.com/GeoBasketball
www.gbf.ge
www.superleague.ge

სპორტი და არსი

ჰოკეი

იქნებ შუაგადასა უზველოთ?!

ლიგამ და პროფკავშირამ საშველად სამთავრობო ორგანიზაციას უხმეს

ჰოკეის ეროვნულმა ლიგამ და მოთამაშეთა პროფკავშირმა უთანხმოების მოსაგვარებლად აშშ-ის ფედერალურ სამსახურს მიმართეს. ამ ორგანიზაციის ვებგვერდზე გაჩნდა მისი დირექტორის ჯორჯ კონის განცხადება, რომელშიც ის წერს, რომ მას დახმარებისთვის მიმართეს როგორც NHL-ის, ასევე პროფკავშირის წარმომადგენლებმა. კონმა ისიც დაამატა, რომ უკვე დანიშნა მოლაპარაკებების პროცესზე პასუხისმგებელი პირები.

2011-12 წლების სეზონი ამერიკული ფეხბურთის ლიგაში, NBA-ში კი შემოკლებული სეზონი ჩატარდა.


...

ამასობაში, ევროპიდან ამერიკაში დაბრუნდა ერთი კანადელი ჰოკეისტი - შაკანინამ უეინ სიმონდსმა დატოვა ჩეხეთი, სადაც ლოკატის პერიოდში თამაშობდა. "ფილადელფიას" მოთამაშე ვერ შეეგუა ახალ პირობებს, რომელიც მას ჩეხეთის "ლიბერეცში" დახვდა.

"ლიბერეცში" შაკანინამ თავდასხმელმა ექვსი მატჩი ჩაატარა და ექვსი ქულა დააგროვა. ერთ-ერთი მატჩის დროს, ის რასისტული შეტყევის ობიექტი გახდა. მეტოქის მოთამაშესთან ჩხუბის შემდეგ, სიმონდსის მისამართით გაიძახოდნენ - "მაიმუნი". მოწოდების სიმძლავრე აღმოჩნდა პოლიცია, რომელმაც რვა ადამიანი დააპატიმრა, მეტოქე გუნდმა კი ოფიციალურად მოიხიდა ბოდიში.

შაკანინა კანადელის სიტყვებით, ამერიკაში დაბრუნება არ უკავშირდება იმ შეურაცხყოფას. "ეს სრულიად სხვა სამყაროა. სხვა ენა, ცხოვრების სხვა სტილი, - ამბობს სიმონდსი. - მაგრამ მინდა ვთქვა, რომ აქ შესანიშნავი დრო გავატარე და ეს ჩემთვის კარგი გამოცდილება იყო".

აღვნიშნავთ, რომ ამ თვის შუაში მინსკის "დინამოსთან" განწყობა კონტრატ-



უეინ სიმონდსი

ტი NHL-ის კიდევ ერთმა შაკანინამ თავდასხმელმა ევანდერ კინმა. 12 მატჩში მან მხოლოდ ერთი შაიბა გაიტანა და ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციის მიღებაც მოასწრო. კინის აგენტის სიტყვებით, ჰოკეისტმა ვერ შეძლო ჰოკეის კონტინენტალურ ლიგასთან ადაპტირება.

ლაგაზი ბარსა



ქალბარსელონას ქალ ფრენბურთელთა გუნდმა, რომელსაც Penya Lombarda FCB ჰქვია, ეროტიკული შინაარსის კალენდარი გამოუშვა. კლუბის სახეებად წარმოგვიდგინენ მოდელები - დენიზ აკისტაბაჩე და დი ფუმაგალი. პოლიგრაფიული შედეგის პრეზენტაცია მილანში, სტილისტ რობერტო კავალის მოდის სახლში შედგა. კალენდრის ფასი სავსებით მისაღებია - მხოლოდ ათი ევრო (ცნობისთვის, ეს გამოცემა ერთი ევროთი იაფია, ვიდრე ანალოგიური პროდუქტი მესის, ჩავისა და კომპანის გამოსახულებებით).

აღნიშნული აქციის ესთეტიკური მხარის გარდა, უნდა აღინიშნოს ფრენბურთის გუნდისა და მომხიბვლელი მოდელების კეთილი განზრახვა. კალენდრის რეალიზაციიდან შემოსულა თანხა ორ საქველმოქმედო ფონდში გადაირიცხება, რომლებიც ლეიკემიის წინააღმდეგ იბრძვიან.



დოკინგი

რვა წლის წინანდელი სოფეხი

ატიენის ოლიმპიადის დროს აღებული სინჯების ხელახალმა შემოწმებამ აკრძალული პრეპარატების გამოყენებაში ამხილა რუსები - სვეტლანა კრიველიოვა და ოლეგ პერეპეტჩენოვი, ბელარუსები ივან ტიხონი და ირინა იატჩენკო, აგრეთვე უკრაინელი იური ბელონოვი.

ჩვენ უკვე ვწერდით იმის შესახებ, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების წარმომადგენლები ანტისადოპინგო კანონმდებლობის დარღვევაში დაადანაშაულეს. თუმცა მათი გვარები მხოლოდ გუმინ გახდა ცნობილი. წესების თანახმად, დოპინგსინჯებს რვა წლის განმავლობაში ინახავენ და 2012 წლის აგვისტოში, სინჯების ვადის გასვლამდე ცოტა ხნით ადრე, საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა 110 სპორტსმენის ანალიზის შემოწმება გადაწყვიტა. ხუთმა ტესტმა დადებითი შედეგი აჩვენა.

სვეტლანა კრიველიოვა ბირთვის კერაში გამოდის, ოლეგ პერეპეტჩენოვი - ძალოსანია. მათ ათენის ოლიმპიადზე ბრინჯაოს მედლები მოიგეს. ამ მომენტისთვის, ორივე სპორტსმენს დასარულეული აქვს კარიერა. სხვათა შორის, კრიველიოვა 1992 წელს ბარსელონას ოლიმპიადის გამარჯვებული იყო.

ასევე ათენის თამაშების მედალოსნები იყვნენ ბელარუსები - უროს მტყორცნელი ივან ტიხონი და ბადროს მტყორცნელი ირინა იატჩენკო. მათ 2004 წელს, შესაბამისად, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები მიიღეს.

ტიხონი ერთხელ უკვე იყო დოპინგსკანდალის მონაწილე - პეკინის ოლიმპიადზე მან ბრინჯაო მიიღო, მაგრამ მალე აკ-

რძალული პრეპარატის მიღებაში ამხილეს და მედალი ჩამოართვეს. მაგრამ ბელარუსმა საარბიტრაჟო სასამართლოზე დაამტკიცა თავისი უდანაშაულობა და ოლიმპიური მედალი დაიბრუნა.

ახალი სკანდალის უკრაინელი მონაწილეა იური ბელონოვი, რომელიც ბირთვის კერაში გამოდის. მის ანგარიშზეა ევროპის ჩემპიონატის ოქრო და მსოფლიოზე - ბრინჯაო.



სვეტლანა კრიველიოვა

კრივი

ვიტალი რუსს შეხვდება?

ამერიკალმა მძიმეწონოსანმა ჯონათან ბენქსმა, რომელიც რამდენიმე თვის განმავლობაში ავარჯიშებდა WBA-ის, WBO-სა და IBF-ის ჩემპიონ ვლადიმერ კლიჩკოს, გერმანული პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ვლადიმერის ძმა - WBC-ის ჩემპიონი ვიტალი კლიჩკო რუს ალექსანდრ პოვეტკინთან შეხვედრას აპირებს. ბენქსის

თქმით, მან შეიტყო ამგვარი ბრძოლის ორგანიზების შესახებ, თუმცა დეტალები არ გაამხილა.

ბენქსმა დაამატა, რომ თავად ისურვებდა პოვეტკინთან შეხვედრას, რომელიც სუპერმძიმე წონაში WBA-ის "ჩვეულებრივ" ჩემპიონად არის აღიარებული, ამ ვერსიით "სუპერჩემპიონი" კი ვლადიმერ კლიჩკოა.

ცნობილია, რომ ვიტალი კლიჩკო აქტიურად არის დაკავებული პოლიტიკური საქმიანობით და 41 წლის მოკრივეს ჯერ არ გადაუწყვეტია სპორტული კარიერის გაგრძელების საკითხი.

გვერდი მოაგზავნა გია თხალაბაიშვილმა

ISSN 2233-3827, გამომცემელი და გამომცემელი შპს ბაიომცემლობა ლელო, ბაიომცემა ყოველდღე, ბარსელონაში

მთავარი რედაქტორი თანგიზ ბაჩიჩილაძე, მთავარი რედაქტორი თანგიზ ბაჩიჩილაძე, მთავარი რედაქტორი თანგიზ ბაჩიჩილაძე, მთავარი რედაქტორი თანგიზ ბაჩიჩილაძე